ბოროტსა სძლია კეთილმან

Არის თარიღები, რომლებსაც, რაც დრო გადის, სულ უფრო ემატება ელვარება. საბჭოთა ხალხისთვის ერთი ასეთი თარიღია 1945 წლის 9 მაისი — ფაშისტურ გერმანიაზე ძლევამოსილი გამარჯვების დღე.

ამ გამარჯვებას მთელი საბჭოთა ხალხი ჭედდა. დიდი და პატარა ერთი სულისკვეთებით შეპყრობილი აღდგა, რათა სამშობლო განსაცდელისაგან დაეხსნათ. მომხდურ ფაშისტთა საბოლოო განადგურებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ქვეყნის, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმაც. გადავხედოთ ომის მატიანეს. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ვახტანგ ლეჟავას, თბილისის სპორტული სკოლის აღზრდილს — თენგიზ ჯაფარიძეს, წყალბურთელ გარი მერკვილაძეს, ტანმოვარჯიშე ირაკლი ციციშვილს, ცხენოსან მელიტონ ქანთარიას, მოჭიდავეს, პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთ გამოჩენილ ხელმძღვანელს დავით ბაქრაძეს. ლენინის ორდენი დაიმსახურა ცნობილმა მძლეოსანმა დიმიტრი იოხელიანმა.

საქართველოს სპორტსმენებმა პირნათლად მოიხადეს თავიანთი პატრიოტული და მხედრული ვალი სამშობლოს წინაშე. აი ისინი, ვისი სახელებითაც ამაყობს და მუდამ იამაყებს ჩვენი სპორტული მოძრაობა: ვლადიმერ სამსონაძე, ვახტანგ კუხიანიძე, შალვა ჩიხლაძე, ვლადიმერ ბარნაბიშვილი, შალვა ელიაშვილი, ოთარ დიდებულიძე, მიხეილ მაისურაძე, შალვა სვანიძე, ლევან გიორგაძე, იური რუხაძე, ვახტანგ ქუთათელაძე, ვლადიმერ სვეტილკო, აკაკი მეიფარიანი, თეიმურაზ მაჩაბელი, თედო სხირტლაძე... ყველას ვერ ჩამოთვლი. ბევრი მათგანი ფიზკულტურის ინსტიტუტის აღზრდილია და დღესაც ამ სასწავლებელში მოღვაწეობს. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ის დიდი წვლილი, რაც ინსტიტუტმა შეიტანა საყოველთაო-სამხედრო სწავლებისათვის ინსტრუქტორებისა და სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტთა მომზადებაში.

საყოველთაო-სამხედრო სწავლების პუნქტებში ფიზკულტურის ინსტრუქტორთა უშუალო დახმარებით ომის მძიმე დღეებში ათი ათასობით მოთხილამურე, მოფარიკავე, მოცურავე, მთამსვლელი და ყუმბარის მტყორცნელი მომზადდა. ახალგაზრდა მეომართა მომზადებისთვის ფართოდ იყენებდნენ სპორტის ეროვნულ სახეობებს. საბჭოთა არმიამ ცხენოსანთა საიმედო რეზერვი მიიღო ჩვენი რესპუბლიკიდან.

სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტებმა მრავალი დაჭრილი განკურნეს და კვლავ დაუბრუნეს სამშობლოს დამცველთა რიგებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველ ალპინისტთა მამაცობა დამპყრობთა წინააღმდეგ კავკასიონის მისადგომებთან და კარპატებში. სვანი მთამსვლელებისგან შემდგარმა პარტიზანულმა რაზმმა არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა კავკასიისათვის ბრძოლის მატიანეში. მომხდურს მამაცურად ებრძოდნენ აგრეთვე მოხევე ალპინისტები. კავკასიის უძნელეს უღელტეხილებზე მთამსვლელის, პოლკოვნიკ ს. გელაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა ზუსტი კარტოგრაფიული სამუშაოები, რაც ესოდენ საჭირო იყო ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობისათვის. ამ რთული დავალების შესრულებაში თავი გამოიჩინეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალიოშა ჯაფარიძემ, სპორტის ოსტატმა დ. წერეთელმა, მეომარმა ალპინისტებმა დ. მარუაშვილმა, კ. ონიანმა, შ. შხვაცაბაიამ, ო. გიგინეიშვილმა, ლ. სუჯაშვილმა და სხვებმა.

დიდი სამამულო ომი ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მკაცრი გამოცდის პერიოდიც იყო. ეს გამოცდა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით ჩააბარეს ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა რომელთა ღვაწლს მუდამ ღირსეულად დააფასებს მადლიერი შთამომავლობა.

9 მაისი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 89 (7650)

9 მაისი
ოთხშაბათი.
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту
при Совете Министров ГССР
и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ქალთა IX საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

დამაგვირგვინებელი აკორდი

ქალთა საერთაშორისო ტურნირი
МЕЖДУНАРОДНЫЙ ЖЕНСКИЙ ТУРНИР

XIII ტური. 7 მაისი. ხუგაშვილი— გაფრინდაშვილი 0:1, იოსელიანი — ლაზარევიჩი 1:0, ანგელოვა — ლიტინსკაია 0:1, ივანკა — ჩიბურდანიძე 0,5:0,5, მურეშანი — ახმილოვსკაია 0,5:0,5. ვიზე — გურიელის, ალექსანდრია — კრამლინგის პარტიები გადაიდო.

ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ. 8 მაისი (დილა). ვიზე — გურიელი 0:1, ალექსანდრია —კრამლინგი 0,5:0,5.

ტურნირი დამთავრდა. აი, საბოლოო შედეგები:

I. ნონა გაფრინდაშვილი—9 ქულა, II. ნანა იოსელიანი — 8,5, III-V. მაია ჩიბურდანიძე, ნინო გურიელი, მარია ივანკა (უნგრეთი) — 8-8, VI. პია კრამლინგი (შვეცია) — 7,5, VII. მარტა ლიტინსკაია (ლვოვი) — 7, VIII-IX. ელენა ახმილოვსკაია, ნანა ალექსანდრია 6,5-6,5, X-XI. მალგორჟატა ვიზე (პოლონეთი), მილუნკა ლაზარევიჩი (იუგოსლავია) — 5-5, XII. მარგარეტ მურეშანი (რუმინეთი) — 4,5, XIII. თამარ ხუგაშვილი — 4, XIV პავლინა ანგელოვა (ბულგარეთი) —3,5.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗ, XIII ტურში დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.. ამ დღის შეხვედრებზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

ყველაზე ადრე დამთავრდა ივანკა-ჩიბურდანიძის შეხვედრა. ორივე დიდოსტატს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, მაგრამ პარტია ისე წარიმართა, რომ უპირატესობას ვერც ერთი ვერ დაეუფლა. ამიტომ 21-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

გაფრინდაშვილსაც მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა პირველი პრიზის მოსაპოვებლად. მან მიიღო ხუგაშვილის გამოწვევა, რომ ბრძოლა ენდშპილში წარემართათ. აქ კი მსოფლიოს ექსჩემპიონი უფრო გამიზნულად მოქმედებდა. მან ისე შეავიწროვა ხუგაშვილის მხედრები, რომ მათს განთავისუფლებას პაიკის გაღება დასჭირდა. ცენტრში გარღვევის შემდეგ გაფრინდაშვილმა მეორე პაიკიც მოიგო. წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა და ხუგაშვილმა პარტია დათმო. დარბაზმა მქუხარე ტაშით მიულოცა სწორუპოვარ დიდოსტატს ბრწყინვალე გამარჯვება.

ხანგრძლივი მანევრული თამაშის დასასრულს, ღრმა ენდშპილში დაზავდნენ მურეშანი და ახმილოვსკაია. ანგელოვამ ლიტინსკაიასთან მხედარი დაკარგა და ფარ-ხმალიც დაყარა.

— იოსელიანი ისეთი თავდადებით იბრძვის, აუცილებლად გაიმარჯვებს, — ამბობს ცნობილი მოსკოველი მწერალი და სპორტული ჟურნალისტი ალექსანდრე კიკნაძე, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა ჩვენს ტურნირზე დასასწრებად.

მართლაც იოსელიანი ლაზარევიჩთან შეხვედრაში შეუპოვრად იბრძოდა გამარჯვებისთვის. ლაზარევიჩიც ტოლს არ უდებდა. დარბაზი სულგანაბული ადევნებდა თვალს დიდოსტატთა ჭეშმარიტად რაინდულ ჭიდილს.

აი, ეს უაღრესად საინტერესო პარტია:

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ — ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲕᲘᲩᲘ

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 მc6 4. მgf3 მf6 5. e5 მfd7 6. კd3 მb4 7. კe2 c5 8. c3 მc6 9. 0—0 კe7 10. ეe1 c×d4 11. c×d4 g5 12. მb3 g4 13. მfd2 h5 14. მf1 ლb6 15. კe3 a5 16. a4 კb4 17. მfd2 მf8 18. ეf1 კd7 19. მb1 მg6 20. მc3 მge7 21. კd3 0—0—0 22. მb5 მf5 23. კ×f5 e×f5 24. მc5 კe6 25. მd6+ ე×d6 26. e×d6 კ×c5 27. d×c5 ლd8 28. კd4 ეg8 29. ლd2 h4 30. ეa3 ეg6 31. ეc1 ლg8 32. ეb3 g3 33. f×g3 ეg4 34. კf2 f4 35. h3 h×g3 36. h×g4 g×f2+ 37. მფ×f2 ლ×g4 38. ეh1 d4 39. ეh8+ მd8 40. ლa5. შავები დანებდნენ.

გურიელსაც მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. მას უკან დასახევი გზა არ ჰქონდა და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებით წარმართავდა იერიშს. ვიზემ თავგამოდებული დაცვით თითქოს მიუვალი ციხესიმაგრეააგო. მაგრამ გურიელმა ორ ეტლში ლაზიერის შეწირვით მტკიცედ იგდო ხელთ ინიციატივა. პარტიის გადადების წინ ვიზემ ყაიმი შესთავაზა მას, მაგრამ გურიელმა წინადადება არ მიიღო. გუშინ დილით კი მან მაინც გაიტანა თავისი და 79-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ალექსანდრიამ კრამლინგის წინააღმდეგ სიცილიური დაცვა გაითამაშა. შვედმა მოჭადრაკემ იერიში წამოიწყო მეფის ფრთაზე. მაგრამ ალექსანდრიამ მოიგერია მუქარა და ლაზიერების გაცვლის შემდეგ პარტია ენდშპილში გადავიდა. პარტიის გადადების წინ დიდოსტატები ცაიტნოტში მოექცნენ. აქ უზუსტოდ ითამაშა ქართველმა დიდოსტატმა და კრამლინგმა უპირატესობა მიიღო. მაგრამ გუშინ ამ პარტიის დამთავრებისას ალექსანდრიამ გააქარწყლა ეს უპირატესობა.

ასე დასრულდა ჩვენი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი.

— ეს შეჯიბრება დიდი მოვლენა იყო ქალთა ჭადრაკის ისტორიაში. მსგავსი ტურნირები დიდ გავლენას ახდენენ საერთოდ ჭადრაკის განვითარებაზე. წლევანდელი ჩვენი ტრადიციული შეჯიბრება თავისი მნიშვნელობით მე შემიძლია შევადარო, მაგალითად, მოსკოვის 1935 წლის საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც ჭადრაკის კორიფეები ემანუელ ლასკერი და ხოსე კაპაბლანკა მონაწილეობდნენ, — თქვა პირველი ქართველი ოსტატის ვიქტორ გოგლიძის მეუღლემ თამარ გოგლიძემ.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ,
ტურნირის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

* * *

გუშინ საღამოს დიდოსტატ ქალთა საერთაშორისო ტურნირი საზეიმოდ დაიხურა. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ფირზე აღბეჭდა ამ ცერემონიალის ამსახველი მომენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების დღესასწაულს გილოცავთ, მეგობრებო!

ჩემპიონები სულით არ ბერდებიან

თბილისელი შალვა ჩიხლაძე, 1952 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, სამოცდაცამეტი წლის კაცია, მაგრამ დღესაც ბევრს შეშურდება მისი მხნეობა, ჯანმრთელობა და ენერგია.

— ჯანის სიმრთელე ვარჯიშმა და წრთობამ იცის, — ამბობს ბატონი შალვა. — მე, მაგალითად, ბავშვობიდან ვვარჯიშობდი. ზამთრობით ყინულივით ცივ წყალში ვბანაობდი. ყინვაშიც კი გარეთ, სუფთა ჰაერზე მეძინა. მიყვარდა ცურვა, ჭიდაობა, ცხენოსნობა. ცხრამეტი წლის ვიყავი, ცხენიდან რომ ჩამოვვარდი. ექიმებს ეგონათ, ხელის სერიოზული ტრავმა სამუდამოდ ჩამომაშორებდა სპორტს, მაგრამ მე ჩემი არ დავიშალე. ბეჯითად ვვარჯიშობდი. ჩემმა მაშინდელმა მწვრთნელმა, ცნობილმა სპეციალისტმა, ბევრი შესანიშნავი მოჭიდავის აღმზრდელმა ვახტანგ კუხიანიძემ საგანგებო ვარჯიშებიც კი შექმნა ჩემი ნატკენი ხელისათვის...

ოცდაოთხი წლისამ პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. ჩვიდმეტი წლის შემდეგ ჰელსინკის ოლიმპიადის ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

ამ ჩვიდმეტ წელიწადში კი...

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, შალვა ჩიხლაძე, იმ დროისათვის უკვე ცნობილი სპორტსმენი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მოსკოვში იყო. მტერი საბჭოთა ქვეყნის გულისკენ მიიწევდა და „ცალხელა ჩემპიონი", როგორც შალვა ჩიხლაძეს ეძახდნენ, თავისი სურვილით წავიდა მოქმედ არმიაში.

„ფიზკულტურა ი სპორტმა" გამოსცა წიგნი „დინამოელები იბრძოდნენ სამშობლოსათვის". ამ წიგნში აღწერილია ერთი ეპიზოდი, რომლის გმირიც რიგითი ჯარისკაცი შალვა ჩიხლაძეა. ქართველმა მეომარმა ტყვიის წვიმაში ბრძოლის ველიდან გამოიყვანა დაჭრილი მეთაური, ორ საათზე მეტი ხელში ატატებული ატარა მუხლამდე თოვლში და სიკვდილს გადაარჩინა.

მერე ერთ-ერთ ბრძოლაში შალვაც დაიჭრა. იგი ზურგში გადაგზავნეს. 1944 წელს ორდენოსანი მეომარი საჭიდაო ხალიჩას დაუბრუნდა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სპორტში, ისევე როგორც ბრძოლაში, ვაჟკაცობა და ნებისყოფა იმარჯვებს.

დღეს შალვა ჩიხლაძე დამსახურებული, ყველასაგან პატივცემული, ვალმოხდილი კაცია, მაგრამ დასვენებაზე როდი ფიქრობს. საქმე უამრავია. მაგალითად, სახლს გმირთა მოედანზე, სადაც ბატონი შალვა ცხოვრობს, შესანიშნავი სარდაფი აქვს. იგი სულ ადვილად შეიძლება ჭიდაობის დარბაზად გადაკეთდეს. ამ დარბაზში სიამოვნებით გავუზიარებდი ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას ჭიდაობის ნორჩ მოყვარულებსო, — ამბობს ბატონი შალვა.

სურათზე: შალვა ჩიხლაძე შვილიშვილებთან ერთად.

გ. შარაშენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



გამოჩენილი მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელიძის საკავშირო მემორიალი კრივში ის ავტორიტეტული ასპარეზობაა, რომელშიც დიდი ინტერესით მონაწილეობენ ქვეყნის უძლიერესი ახალგაზრდა სპორტსმენები. შეჯიბრებას, რომელიც ტრადიციულად ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღეებში ტარდება, ამჯერად ქუთაისი მასპინძლობს.

ტურნირის გახსნაზე სპორტსმენებთან ერთად თავი მოიყარეს მხედართმთავრის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა, მისმა ყოფილმა თანამებრძოლებმა.

სპარტაკ ჯანიაშვილის
ტექსტი და ფოტო.

გამარჯვების დღეს მიეძღვნა

ქართველ ძიუდოისტთა წარმატება

ლიტვის ქალაქ პანევეჟისში დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო ტურნირი ძიუდოში საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ანდრიანოვის სახელობის პრიზზე. გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვეს საქართველოს ძიუდოისტებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ლიტვის, მესამეზე — მაიკოპის ნაკრები. პირად პირველობაში შესანიშნავად იჭიდავეს თბილისელებმა ვანო ჭინჭარაძემ (83 კგ) და ვალერი პარუნაშვილმა (მძიმე წონა, — ორივეს მწვრთნელი — ო. ნატროშვილი). მათ ყველა შეხვედრა წმინდად მოიგეს და თავიანთ წონით კატეგორიაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე გარდაბნელი ნიკო ნიკოლიშვილი (49 კგ, მწვრთნელი ზ. კოროხაშვილი) და ლენტეხელი კახა ქურასბედიანი (53 კგ, მწვრთნელი ბ. გუგავა). მეორე ადგილებზე გავიდნენ ქუთაისელი რობერტ ლომთაძე, გორელი გია საბაშვილი და ზესტაფონელი ნუგზარ წაქაძე. მესამე ადგილები დაიკავეს გორელმა შალვა სუხიტაშვილმა და თბილსელმა გია დუგლაძემ.

მერაბ ბროძელი,
განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ძიუდოში.

ტურნირის უძლიერესი

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტ კალათბურთელ ქალთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო მინსკის ტრადიციულ ტურნირში, რომელიც მიეძღვნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 39-ე წლის თავს. ჩვენმა გოგონებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და ტურნირში გაიმარჯვეს.

სტუდენტმა სპორტსმენებმა დაათვალიერეს გერმანელ ფაშისტთა მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს მთლიანად განადგურებული სოფლის — ხატინის მემორიალი და წუთიერი დუმილით პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას

ნ. ოდიშელიძე.

ტურნირიდან... ტურნირზე

საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ლექავას მემორიალი ჩოგბურთში

...მრისხანე 1941 წელი. საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელმა, ნიჭიერმა ჩოგბურთელმა ვახტანგ ლექავამ ჩოგანი გვერდზე გადადო და ოქტომბრის მონაპოვრის დამცველთა რიგებში ჩადგა. ჭაბუკმა ორჯონიკიძიდან ნიკოლაევამდე იარა იარაღით ხელში, თავისი ლამაზი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანა და საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით ჩვენი რესპუბლიკის 137 გმირის გვერდით დადგა...

...უკვე 12 წელიწადია ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელები ერთმანეთს ეცილებიან გმირის პრიზს. სხვადასხვა წლებში მისი მფლობელები იყვნენ ისეთი ოსტატები, როგორიც არიან თბილისელები ვ. პერეგუდოვი, გ. ელერდაშვილი, ნ. თუხარელი, ა. ივანოვა, ბაქოელი რ. ახმეროვი, ტალინელი ი. მილკი, მოსკოველები ს. ჩერნევა, ი. ზაიცევა, ა. ბოგომოლოვი, ვ. მიკლაშევსკაია, მინსკელი ს. ლეონიუკი და სხვები.

ახლანდელ, რიგით XIII მემორიალში (მთავარი მსაჯი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი არჩილ ელერდაშვილი) მონაწილეობდნენ მოსკოვის, რიგის, ტალინის, კალინინგრადის, კრასნოგორსკის, მინსკის, კიშინიოვის, სტუპინოსა და თბილისის ჩოგბურთელები — რესპუბლიკებისა და ქალაქების უძლიერესი ოსტატები.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო დიდი ასპარეზობის ერთ-ერთი ეტაპი, ვინაიდან ვ. ლექავას პრიზზე ამ ღია ტურნირის გარდა კიდევ 4 შეჯიბრება იმართება. ესაა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების პირველობა, ამიერკავკასიისა და მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტების პაექრობა, ოჯახების პირველობა და ვეტერანთა ტურნირი.

მემორიალის მონაწილეთა შორის იყვნენ თბილისში ახლახან დამთავრებული „გრან-პრის" საერთაშორისო ტურნირის მონაწილენიც. ამიტომ თამაშები უფრო საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. ქალთა ერთეულების ფინალში ორი თბილისელი ჩოგანი — გამოცდილი ირინე მალაციძე და იუნიორი ლეილა მესხი გავიდა. ანგარიშით 6:2, 7:6 უფროსმა სძლია უმცროსს და პირველი ჯილდოს მფლობელი გახდა.

ვაჟებში უძლიერესი იყო რიგელი ალვის ზილგალვისი, რომელმაც გადამწყვეტი ორთაბრძოლა მოუგო ა. ოიასალუს (ტალინი) — 3:6, 6:3, 7:6. მესამე ადგილზეა ირაკლი მეტრეველი. ზილგალვისმა თანაქალაქელ ვ. გინტარსთან ერთად პირველი ადგილი მოიპოვა ვაჟთა წყვილების ასპარეზობაშიც. მეორე ადგილზე მეტრეველი და გაბრიჩიძე გავიდნენ, რომლებმაც წააგეს ფინალში 2:6, 6:7.

ქალთა ფინალური ასპარეზობა მოსკოველებს გ. საფონოვა—ი. კაშევაროვასა და მესხი—თოხაძეს შორის სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ჩვენი გოგონები ღირსეულად ეპაექრნენ გამოცდილ ოსტატებს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნენ (4:6. 6:3, 5:7) და მეორე ადგილზე გავიდნენ. შერეულ წყვილთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს ზილგალვისმა და კაშევაროვამ, რომლებმაც მოუგეს საფონოვა—ისაკს (6:3, 6:4).

— ლექავას მემორიალი სულ უფრო პოპულარული ხდება და ყოველწლიურად ახალ-ახალ ნიჭიერ ჩოგბურთელებს ავლენს — გვითხრა ა. ელერდაშვილმა — სხვათაშორის ჩვენს ინსტიტუტში ახლა ბევრი გაიტაცა ჩოგბურთმა, როგორც სტუდენტები, ისე პროფესორ-მასწავლებლები. სასურველია, შემდგომში ლექავას მემორიალზე უფრო მეტი ახალგაზრდა შეიკრიბოს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან.

ვანო შლამოვი.



სურათებზე: ირინე მალაციძე; თამაშობს რიგელთა დუეტი — ა. ზილგალვისი და ვ. გინტარსი.

ალექსანდრე
კოტორაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი მიმართულება

დუბლშემადგენლობათა საკავშირო პირველობა: თბილისის „დინამო" მეორე პრიზიორი

ვინ იცის, იქნებ დადგა კიდეც „დიადი გარდატეხის" პერიოდი ჩვენს კალათბურთში? ყოველ შემთხვევაში, 51-ე საკავშირო ჩემპიონატი თბილისის „დინამომ" ორი მნიშვნელოვანი წარმატებით აღნიშნა. ამაზე ღირს დაფიქრება.

როცა ჩვენმა გუნდმა ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს. მოსახდენი თითქოს მოხდა. მერე მესამე საპრიზო ადგილზე გასვლის შანსიც გაჩნდა და, თუმცა ოპტიმიზმს სულ მალე შეეჭრა ფრთები, IV ადგილი, რომელიც „დინამომ" საბოლოო ანგარიშით დაიკავა, სავსებით გასაგები მიზეზებით, წარმატებად მივიჩნიეთ: ეს ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო, მით უფრო, რომ თვალწინ გვქონდა წინა ჩემპიონატების ულიმღამო შედეგები და დინამოელთა ყოვლად უფერული თამაში.

კიდევ ერთი სიხარული მოგვიტანა დუბლიორთა ახალგაზრდულმა კოლექტივმა საკავშირო ტურნირში დაკავებული მეორე ადგილით. თუ არ ვცდები, ასეთი მაღალი შედეგი „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობას წინა ჩემპიონატებში არცა ჰქონია.

ორი წარმატება ერთ სეზონში, ფაქტიურად, ორი წინგადადგმული ნაბიჯია. კანონზომიერება ამ მოვლენაში უდავოდ არის, თანაც იმიტომ, რომ დუბლიორთა კარგი თამაში, მომზადების მაღალი დონე და ხარისხი, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთავარი გუნდის სახეს, მის ოსტატობას და შესაძლებლობებს.

ერთი სიტყვით, უმიზეზოდ არაფერი არ ხდება. ამიტომაც უნდა ვირწმუნოთ, რომ სასიკეთო ძვრები ჩვენს კალათბურთში უკვე დაიწყო. დუბლშემადგენლობათა ახლახან დამთავრებული ტურნირი ასეთი ოპტიმიზმის საბაბს გვაძლევს.

შეჯიბრება, რომელმაც ჩვენს გუნდს მეორე საპრიზო ადგილი მოუტანა, ოთხ ტურად ჩატარდა. პირველი ტურის მასპინძელი თბილისი იყო. დინამოელებმა ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოიგეს და მხოლოდ ერთი ბრძოლა დათმეს მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებთან. ამ ეტაპზე მოპოვებული წარმატება ბევრმა საკუთარი კედლების უპირატესობით ახსნა.

მერე დაიწყო ძნელი და პასუხსაგები გამოცდები ნეიტრალურ მოედნებზე, უფრო შეუჩვეველ და მკაცრ პირობებში. „დინამოს" ახალგაზრდულ შემადგენლობას ამ მატჩებში თავისი ხასიათი უნდა გამოევლინა.

თბილისის ტურის შემდეგ გუნდი მეორე ადგილზე იყო. მოსკოვის ტურმა ოდნავ შეასუსტა მისი პოზიციები. სამაგიეროდ ტაშკენტში თბილისელებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და მეორე ადგილი დაიბრუნეს. კაუნასში ჩატარებულმა დასკვნითმა ტურმა საბოლოოდ განამტკიცა ჩვენი გუნდის პრეტენზიები.

სპორტში კარგი სტარტი საბოლოო წარმატების ერთგვარი გარანტიაა, ამიტომ კარგად გვესმის თბილისის ტურში მოპოვებული ქულების მნიშვნელობა, მაგრამ ალბათ შეცდომა იქნებოდა, ყველა სიკეთე მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი კედლების უპირატესობით აგვეხსნა. თბილისში დინამოელებმა ოთხი მეტად ძნელი და საჭირო ქულა შეიძინეს, დანარჩენ ტურებში კი ამ ოთხ ქულას თორმეტი კიდევ დაუმატეს. ახალგაზრდულმა, ფაქტიურად განახლებულმა შემადგენლობამ ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინა და ეს არ უნდა დავუკარგოთ.

ტურნირი კაუნასის „ჟალგირისის" კალათბურთელებმა მოიგეს. ამ ნიჭიერი კოლექტივის წარმატებაში ეჭვი არ შეგვეპარება. ჩვენ ჩვენს გამარჯვებას ვზეიმობთ და გულწრფელად ვართ გახარებული იმის გამო, რომ უკან ჩამოვიტოვეთ საბჭოთა კალათბურთის აღიარებული გრანდები — ლენინგრადის „სპარტაკი" (IV ადგილი) და ცსკა (V ადგილი). ეს ჩვენი კალათბურთის დღევანდელ პოზიციას ერთიორად ამაგრებს.

კალათბურთში ყოველი ახალი გვარის გამოჩენა მთელი მოვლენაა, ვინაიდან მოთამაშეთა დამკვიდრება და აღიარება ხდება ათასობით გულშემატკივრის თვალწინ და თანდასწრებით. თბილისის „დინამოს" დუბლებში იმდენი ახალი გვარია, რამდენიც მოთამაშე. ამიტომ ჯერჯერობით ძნელია რომელიმეს საგანგებოდ გამოყოფა. დრო თვითონ გვიკარნახებს ამას. სამაგიეროდ სიამოვნებით ვუსვამთ ხაზს გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელის ზაზა ბახტურიძის დამსახურებას. „დინამოს" დუბლიორთა კოლექტივი უკვე ჩამოყალიბებული გუნდია, რომელსაც აქვს თავისი სახე, ჰყავს ძირითადი ბირთვი, მისი ღირსეული ცვლა და ორი-სამი მოთამაშე, რომლებიც წლეულსვე შეიძლება ვიხილოთ მთავარ გუნდში.

დავასახელოთ თუნდაც ლაშა ძიძავა, რომელიც სულ ახლახან მოვიდა კოლექტივში და მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ლიდერი გახდა. რით შეიძლება გამოვარჩიოთ იგი სხვებისაგან? — მაღალი ინდივიდუალური ტექნიკით, ზუსტი სროლით და საიმედო თამაშით დაცვაში.

გია სანაძე წულუკიძიდანაა, ეს კი, სამწუხაროდ, იმას ნიშნავს, რომ ადრე არაფერი ჰქონდა ნასწავლი — „დინამოში" თავისი ნიჭის წყალობით მოხვდა. გამოირჩევა სროლის ერთობ ორიგინალური მანერით, კარგი ნახტომით.

ალექსანდრე ფერიაშვილს (იგი გუნდში სიღნაღიდან არის მოსული) რთული და პასუხსაგები როლი აკისრია ხუთეულში. იგი ფარქვეშ იბრძვის და ფაქტიურად მთელ შავ სამუშაოს ასრულებს. ფარზე მუშაობა, სპორტსმენისაგან დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს. ეს თვისება მას ჯერჯერობით აკლია.

ყველა მოთამაშის ჩამოთვლა და დახასიათება, ცხადია, შორს წაგვიყვანს. ჩვენ მხოლოდ ისინი გამოვყავით, ვინც ახლო მომავალში მთავარ გუნდში შეიძლება ვიხილოთ. თორემ უსათუოდ ვახსენებდით, ვთქვათ, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს, რომლის კისერზეც გადადის ხშირად ბრძოლის სიმწვავე, ან კახა ბალათურიას, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა კოლექტივში, ან კიდევ მიხეილ გაბრიჩიძეს (პირველ სამ ტურში ტანმაღალი ანატოლი მარჩენკოს ნაცვლად თამაშობდა).

დღევანდელ „დინამოში" ბევრი სხვა მოთამაშის გამორჩევა შეიძლება, მაგრამ ამას მოვესწრებით — საბაბი იყოს ოღონდ. ჩვენ უფრო ის გვახარებს, რომ „დინამო" იმედის თვალით შეჰყურებს თავის მომავალს. ამ იმედს საფუძველი აქვს. ეს იგი, ერთი დიდი საქმე ჩვენს კალათბურთში უკვე გაკეთდა.

ნოდარ ახვლედიანი.

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დინამოს" დუბლიორთა გუნდი — საკავშირო ტურნირის მეორე პრიზიორი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — ლევან წულაია, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ბესიკ გოგელია, მიხეილ გაბრიჩიძე, ლაშა ძიძავა, დგანან — თემურ თურვანდიშვილი (გუნდის ადმინისტრატორი), კახა ბალათურია, ალექსანდრე ფერიაშვილი, ანატოლი მარჩენკო, ზაზა ჯამარჯიშვილი, ზაზა ბახტურიძე (მწვრთნელი), გია სანაძე და ზურაბ იოსელიანი (ექიმი-მასაჟისტი).

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 9 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი"	8	5	3	0	12-4	13
„შახტიორი"	9	4	4	1	19-13	12
ს კ რ.	9	5	1	3	12-8	11
„დნეპრი"	9	5	1	3	14-12	11
„ტორპედო"	9	5	1	3	8-7	11
„დინამო" მნ.	9	3	5	1	13-8	11
„დინამო" კ.	9	3	4	2	13-7	10
„ზენიტი"	9	3	4	2	12-8	10
„ქაირათი"	8	3	3	2	13-11	9
„დინამო" თბ.	9	3	3	3	7-7	9
ცსკა	9	2	5	2	9-9	9
„არარატი"	9	3	2	4	12-11	8
„ჩერნომორეცი"	9	3	2	4	10-13	8
„მეტალისტი"	9	2	3	4	8-11	7
„ჟალგირისი"	9	1	5	3	5-13	7
„დინამო" მ.	9	2	2	5	11-16	6
„პახთაქორი"	9	2	0	7	7-14	4
„ნეფთჩი"	9	2	0	7	6-19	4

„ბენფიკა" ჩემპიონია

პორტუგალიის საფეხბურთო ჩემპიონატის თასის ბოლოსწინა ტურში ლისაბონის „ბენფიკამ" ფრედ დამთავრა მატჩი ამავე ქალაქის „სპორტინგთან" და მოიპოვა თავისი ქვეყნის ჩემპიონის წოდება. მეორე ადგილზე გავიდა „პორტო", რომელიც 16 მაისს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში უნდა შეხვდეს იტალიის „იუვენტუსს". ლისაბონის „სპორტინგი" III ადგილზეა.

დღეს ბრიუსელში: „ანდერლეხტი"—„ტოტენჰემ ჰოტსპური"

ევროპული ტურნირები

უეფა-ს თასის გათამაშების ფინალი, როგორც ცნობილია, ორი მატჩისგან შედგება. ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური", ისევე როგორც წინა შეხვედრებში, შეეცდება ჩვეული ტაქტიკის განხორციელებას: გაუძლოს მეტოქის შეტევებს პირველ მატჩში და გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვოს მეორეში. ეს არცთუ იოლი იქნება, ვინაიდან ლონდონელთა ახლანდელი მეტოქე მეტად ძლიერია. ინგლისური პრესა აღიარებს, რომ ნახევარფინალში სპლიტის „ჰაიდუკის" დამარცხება (1:2 და 1:0) არ იყო მაინცდამაინც დამაჯერებელი: „ფინალში სტუმრად გატანილმა გოლმა გაგვიყვანა", — წერდა „გარდიანი". ადრინდელი დაპირებების მიუხედავად, მწვრთნელმა კით ბერკინშოუმ დიდს ვერაფერს მიაღწია ინგლისის ჩემპიონატში, სადაც გუნდი დღეისათვის მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა. უკვე ცნობილია, რომ მასთან ხელშეკრულებას აღარ განაახლებენ. „ტოტენჰემ ჰოტსპურის" დირექტორატი აცხადებს, რომ დაიწყებს მოლაპარაკებას იდალგოსთან, მენოტისთან ან ლიდჰოლმთან. ახლა, როგორც მიმომხილველები წერენ, ბერკინშოუს კიდევ აქვს შესაძლებლობა მოიგოს უეფა-ს თასი და, ასე ვთქვათ, ლამაზად წავიდეს გუნდიდან.

რა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობს ბრიუსელის „ანდერლეხტის" მწვრთნელი პოლ ვან ჰიმსტი. იგი აღფრთოვანებულია თავისი გუნდის მეორე ნახევარფინალური მატჩით „ნოტინგენ ფორესტთან" (3:0 0:2-ის შემდეგ). ვან ჰიმსტმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც „ანდერლეხტს" ჩაუდგა სათავეში, მის გუნდს ესოდენ მლიერად არასოდეს უთამაშია. თანაც, ამ მატჩში ტრავმის გამო არ მონაწილეობდა ცენტრალური მცველი პერუზოვიჩი, ხოლო გუნდის კაპიტანი და წამყვანი ნახევარმცველი ვერკაუტერენი მხოლოდ მეორე ტაიმის შუა წუთებიდან გამოვიდა მინდორზე. როგორც ბელგიელი ჟურნალისტი ლოდი დე პოოტერი იუწყება, ეს შეხვედრა ბრწყინვალედ წარმართა 18 წლის შიფომ. ბელგიელი მიმომხილველები თვლიან, რომ „ანდერლეხტმა", რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში ამჟამად მეორე ადგილზეა, უნდა შეინარჩუნოს უეფა-ს თასი. საყურადღებოა ისიც, რომ გუნდი უკვე მეექვსედ მონაწილეობს ევროპული თასების ფინალურ მატჩში.

გუნდების საორიენტაციო შემადგენლობა ასეთია: „ანდერლეხტი" — მუნარონი, პერუზოვიჩი (გრიუნი), ოლსენი, დე გრეეფი, დე გროოტი, პოფკენსი, შიფო, ვერკაუტერენი, ბრილი, ვანდენბერგი, ჩერნიატინსკი. „ტოტენჰემ ჰოტსპური" — პარკსი, თომასი, ჰიუტონი, რობერტსი, მილერი, პერიმენი, ჰაზარდი, არჩიბალდი, ფალკო, სტივენსი, გალვინი.

ვივი გამრეკელი.

თასები, თასები

გფრ

რამდენიმე დღის წინათ გაიმართა ამ ქვეყნის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები, რომლებსაც გადამწყვეტი შეხვედრის მონაწილენი უნდა დაესახელებინა. მიონჰენგლადბახის „ბორუსია", რომელიც ბოლო ორი თვის მანძილზე ალმავლობით თამაშობს, ბრემენის „ვერდერს" მასპინძლობდა. პირველ ტაიმში „ბორუსიის" უპირატესობა გამოიხატა ერთი გოლით, რომელიც გუნდის ლიდერმა ლოტარ მათეუსმა გაიტანა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კიდევ უფრო უმატეს ტემპს და ორი ბურთით დაწინაურდნენ — 2:0, შემდეგ კი — 3:1. მატჩის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ სტუმრები სხვაგვარად ფიქრობდნენ. მათ ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში და ახლა ისინი გავიდნენ წინ — 4:3. მაგრამ „ბორუსიამ" კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალა და ძირითადი დროის მიწურულს გაათანაბრა ანგარიში, ხოლო დამატებით დროში გადამწყვეტი გოლიც გაიტანა — 5:4.

კიდევ უფრო დრამატული გამოდგა მატჩი გელზენკირხენში, სადაც მეორე ლიგის ბინადარი, ადგილობრივი „შალკე-04" ჩემპიონობის ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტს, მიუნჰენის „ბაიერნს" ხვდებოდა. 72 ათასი მაყურებელი საოცარი, უაღრესად მიმზიდველი და მეტად უჩვეულო საფეხბურთო სანახაობის მოწმე გახდა. ამის საილუსტრაციოდ გატანილი გოლების სტენოგრაფიული ჩანაწერიც კმარა: მე-3 წუთი — მიჰაელ რუმენიგემ მარცხენა ფლანგიდან ბრწყინვალედ მიაწოდა ბურთი თავის უფროს ძმას — კარლ-ჰაინცს, რომელმაც ანგარიში გახსნა; მე-12 წუთი — მიჰაელ რუმენიგემ ახლა რაინჰოლდ მატი გაიყვანა გარღვევაზე და „ბაიერნი" ორი ბურთით დაწინაურდა, მაგრამ მასპინძლებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. თომას ბუზემ და ოლაფ ტონმა თითო გოლი გაიტანეს და ანგარიში გაათანაბრეს — 2:2. შესვენებამდე მიჰაელ რუმენიგემ კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი. 61-ე წუთზე ბუზემ თავური დარტყმით ისევ აღადგინა წონასწორობა, ხოლო 72-ზე უკვე „შალკე-04" დაწინაურდა — ტონის ულამაზესმა თავურმა მიაღწია მიზანს. მატჩის დამთავრებას 10 წუთი აკლდა, როცა მიჰაელ რუმენიგემ კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა მაყურებელი — თავით ლამაზი გოლი გაიტანა. 4:4 — ასე დამთავრდა შეხვედრის ძირითადი დრო. მაგრამ დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს დამატებით ნახევარ საათში მიაღწია. პირველი 15-წუთიანი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. 110-ე წუთზე მინდორზე ახლადგამოსულმა დიტერ ჰოონესმა კარგად ისარგებლა მასპინძელთა მეკარე იუნგჰანსის შეცდომით (ისე კი „შალკეს" კარის დარაჯმა შესანიშნავად ჩაატარა მატჩი) და „ბაიერნი" დააწინაურა — 5:4. 116-ე წუთზე „შალკეს" ვეტერანმა, 36 წლის ბერნჰარდ დიცმა კვლავ აღადგინა წონასწორობა. ორი წუთის შემდეგ კარლ-ჰაინც რუმენიგემ შესანიშნავი პასით მეკარის პირისპირ გაიყვანა დიტერ ჰოონესი, რომელმაც კარგად გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი — 6:5. მატჩისთვის განკუთვნილი 120 წუთი ამოიწურა, მაგრამ მსაჯმა კიდევ ერთი წუთი დაამატა. სწორედ ამ დამატებით, 121-ე წუთზე ტონმა თავისი მესამე ბურთი გაიტანა და მარცხისგან იხსნა „შალკე-04" — 6:6. დაინიშნა განმეორებითი შეხვედრა, რომელიც ამ დღეებში მიუნჰენში გაიმართება.

გდრ

26 მაისს ბერლინში, ქვეყნის თასის 33-ე გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდება ორი „დინამო" — ბერლინისა და დრეზდენისა. ბერლინელებმა ნახევარფინალში დაამარცხეს იენის „კარლ ცაისი" (3:0), ხოლო დრეზდენელებმა „კარლ-მარქს-შტადტს" სძლიეს — 2:1.

დემონსტრატორმა ყმაწვილმა ავანსცენის სიღრმიდან კისერი წაიგრძელა, პირველი რიგის შუაში მაგიდას დააცქერდა, შემდეგ ჰოკით შავ კუს ასწვდა და თეთრ მეფეს ირიბულად გვერდით ამოუყენა.

— მოგებამ პირი ბე მეორე პაიკმაც... — შვებით ამოიოხრა ფოტოკორესპონდენტმა თამაზ ქიქავამ და აპარატი მოიმარჯვა...

განცდილი და კვლავ განსაცდელი

М. ЧИБУРДАНИДЗЕ
Н. ГАПРИНДАШВИЛИ

სახეზე ნაკვთიც არ შერხევია, როცა მეტოქემ საათი გააჩერა და გამარჯვება მიულოცა... არც მაშინ, როცა ხალხით გადაჭედილი უზარმაზარი დარბაზი (თბილისში — ფეხბურთის დღეს!) ტაშით ინგრეოდა... დაფას ჯერ არ მოსცილებოდა, ბლანკს ხელს აწერდა, თან მეტოქეს რაღაც ვარიანტს უჩვენებდა... სცენაზე პატარა გოგონა ავიდა და ბომბორა წითელი მიხაკები გაუწოდა. მაშინღა გაიღიმა, მიუალერსა პატარას. ტაში არ ცხრებოდა... კიდურა მაგიდიდან ნანა ალექსანდრია წამოდგა (ხელებში თავჩარგული მისი მოწინაალმდეგისათვის, გაკნაჭული შვედი გოგონასათვის, ამქვეყნად არც ტაში არსებობდა და, საერთოდ, მთელი სამყაროც ოთხკუთხედ დაფად დავიწროებულიყო), მივიდა, მიულოცა. სხვებიც წამოიშალნენ. სცენა ოდნავ აირია: ავანსცენის წინ რომ ერთი მსაჯი, ლიმმორეული, ხელებს ასავსავებდა, დაწყნარდითო, ამ დროს გაბადრული მთავარი არბიტრი ხელს ართმევდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა... ჩვეულებრივ, იგი ყოველი პარტიის შემდეგ — სულ ერთია, რა შედეგით მთავრდებოდა — რამდენიმე წუთს სცენაზე რჩებოდა და პარტნიორთან ერთად თათარიახნად არჩევდა ხოლმე პარტიას... ახლა ამის დრო არ იყო... არც განწყობილება. წამოდგა, დარბაზისკენ არ გაუხედავს, ისე დაიძრა კულისებისკენ. მოახედეს: სცენაზე თითისტოლა ბავშვი აბაჯბაჯებულიყო — დაიხარა, თაიგული გამოართვა, აკოცა და სცენიდან გავიდა. ისევ გამკრა ბრიყვულმა აზრმა — რატომ მაყურებელს თავი არ დაუკრა-მეთქი... ასე იყო წინა დღესაც, როცა მთელმა დარბაზმა ოვაცია გაუმართა... თუმცა არა, მთლად ასე არ ყოფილა...

ორი პარტია უნდა დაემთავრებინა, ორივე მოსაგებ მდგომარეობაში გადადებული. თუმცა მოჭადრაკეებმა იციან — ყველაზე ძნელი მოგებული პარტიის მოგებაა... თანაც — მაია ჩიბურდანიძესთან: უკანასკნელ პაიკამდე იბრძოლებს, იბრძოლებს შამათამდე... მაგრამ პოზიცია მოგებულია — პარტიის გადადების წინ დაფაზევე იპოვა მოგების პარადოქსული გეგმა: მეფე მოაცილა საფარს, თავისსავე პაიკებს, და საპირისპირო ფლანგზე წინ გაჭრილი თავისი გამსვლელი ფაიკისაკენ დაძრა. იცის, მუდმივ ქიშზე ჩასაფრებულ თეთრ ლაზიერს გზას ვერ აუქცევს, მაგრამ გათვალა — სულ ქიშების სალუტით მიაცილებინებს თავს ტრიუმფის ადგილას — ბე პირველ უჯრაზე...

მაგრამ ჭადრაკში ყველაფერს თვით კაისაც ვერ გაითვალისწინებს. გაიხსნა კონვერტი, გაკეთდა მსოფლიო ჩემპიონის ჩაწერილი სვლა — არა უძლიერესი! — და მოხდა ის, რაც ჭადრაკში მომხდარა, ხდება და ყოველთვის მოხდება, სანამ მას ადამიანები ითამაშებენ: მოწინაალმდეგის უძლიერესი სვლისათვის შინაგანად მომზადებული, იგი როგორღაც ველარ გადაერთო ახალ, უფრო მარტივ გეგმაზე. ერთი უზუსტობა, მეორე, მესამე — უკვე საბედისწერო — და თითქოს რაღაც შეიცვალა მშვიდ, გარეგნულად ფლეგმატურ მაიაში... შანსი მისცა... თავისი ბრალია, გაეტარებინა ბე ორი... ანდა წასულიყო მეფით ეფ ხუთზე... მაინც რამააყვანინა პაიკი... გადარჩენის შანსი მისცა... მისცა შანსი და ახლა არ არსებობს ბუნებაში ძალა, რომელიც ამ შანსს მაიას ხელიდან გამოჰგლეჯს... ყაიმი! არადა, ამ პარტიის მოგებით უკვე დღესვე ინაღდებდა პირველობას—ახმილოვსკაიასთან გადადებული პარტია ავტომატურად იგება... მაგრამ ამნაირი ყაიმის შემდეგ იგება კი? იქაც რაღაც არ გააგოროს უცნაური... დარბაზში ტაში ქუხდა — მაიას საპატივცემულოდ... იცნობს ამ ტაშს...

კულისებში დაეხვივნენ,.. მოგების თავიანთ გზას უჩვენებენ... ვესტიბიულიდან კარი ელეგანტურად ჩაცმულმა თმაშევერცხლილმა კაცმა შემოაღო, ამ სურათს შეხედა, აღარ შემოსულა, კარი მიიხურა და მაღალ ფეხებზე შემდგარ, შეფიქრიანებულ კნაჭა ბიჭს მიუბრუნდა:

— ახლა ყველა პროფესორი გახდება: იყო მოგება და იყო მოგებაო... დააწყვეტენ ნერვებს...

რამდენიმე წუთის შემდეგ დარბაზში ისევ ტაში გრიალებდა... გრიალებდა უკვე მის პატივსაცემად: ხუთიოდ სვლაში ხუხულასავით დაშალა ახმილოვსკაიას პოზიცია. იცნობს, ამ ტაშსაც ძალიან კარგად იცნობს... სამართლიან ტაშს... დაუნდობელ ტაშს... იცნობს მაყურებელსაც — დაუნდობლად სამართლიანს, სამართლიანად დაუნდობელს.

• • •

ნონა გაფრინდაშვილი ჭადრაკის სასახლის დირექტორის კაბინეტში ზის; ახლახან გამოარღვია ვესტიბიულში თაყვანისმცემელთა და ავტოგრაფებზე მონადირეთა ალყა... თან ახლობელთა მცირე ჯგუფი შემოჰყვა — ულოცავენ, ეხვევიან, ეკითხებიან... თვალი ტელევიზორის ეკრანისაკენ გაურბის:

— როგორაა საქმე, ველარ მოვუსწრებდი, მეგონა... ნოლით ნოლია? რა ემართებათ, ნეტავი... იქნებ კარგ ფეხზე შემოვედი...

მოსკოველი ჟურნალისტი სახვალიო შეხვედრაზე [illegible] კითხვებს ჩამოგიწერთ და წერილობით მიპასუხეთო..

— რად გვინდა ეს მიწერ-მოწერა! აგერ, თან ფეხბურთს ვუყუროთ და თან ვისაუბროთ. რაც არ მოგეწონებათ, ნუ დაწერთ, მაგრამ რასაც ჩემ ნათქვამად დაწერთ, ის მართლა ჩემი ნათქვამი უნდა იყოს... რომელი პარტია? რომელიც თქვენ მოგწონთ, ის მიეცით... ჩემი აზრით? რა ვიცი, იქნებ ახმილოვსკაიასთან პარტია სჯობდეს, ეფექტები ნაკლებია, მაგრამ იქ ძალიან დაძაბული შინაგანი, უჩინარი ბრძოლა იყო...

ოთახში მაია შემოვიდა, ნონა გადაკოცნა და მიულოცა.

— მადლობთ... შენ კი არ მილოცავ, დედიკო? — მიუბრუნდა ნონა კნაჭა ბიჭს, — აი, ვინაა ჩემი ერთგული გულშემატკივარი. სტარტზე რომ ზედიზედ წავაგე და კრამლინგს რომ ოთხიდან სამ-ნახევარი ჰქონდა, მაშინ თქვა მენცარივით — პირველ ადგილს მაინც დედა აიღებს და კრამლინგი სამეულში ვერ მოხვდებაო... ყოჩაღ, შენგელია! რა კუთხიდან გაჭედა გოლი!..

მოედანზე ენით აუწერელი რამ ხდებოდა: ტრიუმფატორივით ხელაღმართულ შენგელიას სიხარულისაგან დაგიჟებული თანაგუნდელები გამოენთნენ დასაბურჯგნად, კარიდან აბუსერიძე გამოიჭრა, შენგელიას სწვდა და ბავშვივით აიტაცა ხელში.

ნონა თვალებანთებული მისჩერებოდა გამარჯვების წამს.

უკვე განცდილს...
მრავალჯერ განცდილს...
და კვლავ განსაცდელს.

თამაზ ალქაძე.

დღეს ჩვენს მთავარ სტადიონზე

დღეს, 9 მაისს, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკური გათამაშების ორი მეტად საინტერესო მატჩი.

15 საათსა და 30 წუთზე საქართველოს პირველობის მესამე საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებენ თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის „ივერია“ და განათლების სამმართველოს სპეციალიზებული საფეხბურთო სპორტსკოლის „ივერია“ (1966-67 წლებში დაბადებულნი).

17 საათსა და 30 წუთზე შედგება „სიჭაბუკის“ თასის ფინალური მატჩი 1969 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ერთმანეთს შეხვდებიან „დინამო“ (თბილისი) და 134-ე საფეხბურთო სკოლა (თბილისის განათლების სამმართველო).

საქართველოს პირველობა ● I ჯგუფი

გათამაშების ცხრილები. მდგომარეობა 9 მაისისთვის

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ავტომობ.“	7	6	0	1	15-6	12
„ივერია“	8	5	1	2	14-9	11
„მადნეული“	7	4	3	0	12-7	11
„დურუჯი“	8	4	3	1	6-5	11
„სპარტაკი“	8	4	2	2	19-9	10
„მეტალურგი“	7	4	2	1	13-7	10
„შევარდენი“	6	4	1	1	10-4	9
„კახეთი“	7	4	1	2	9-3	9
„არმაზი“	7	2	4	1	16-10	8
„იმედი“	7	2	3	2	11-7	7
„ჰერეთი“	7	2	2	3	7-7	6
ფიზკ. ინსტ.	8	1	4	3	5-10	6
„არაგვი“	8	2	1	5	9-14	5
„ალაზანი“	8	2	1	5	7-15	5
„თორი“	8	0	3	5	6-15	3
პოლ. ინსტ.	8	0	2	6	7-17	2
„სამგორი“	7	0	1	6	3-24	1

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ ზ.	8	6	1	1	16-9	13
„საპოვნელა“	8	5	1	2	18-8	11
„მზიური“	8	4	3	1	13-8	11
„სულორი“	8	4	2	2	12-8	10
„მალაროელი“	8	3	4	1	8-5	10
„მეტალურგი“	8	3	3	2	10-5	9
„შადრევანი“	7	3	3	1	12-8	9
„გიგანტი“	8	4	0	4	10-9	8
„დინამო“ ბ.	8	3	2	3	11-9	8
„ამირანი“	8	3	1	4	10-11	7
„კოლხეთი“	8	3	1	4	13-17	7
„ბახმარო“	8	3	1	4	7-13	7
„სალხინო“	8	2	3	3	9-16	7
„სქური“	8	2	2	4	7-11	6
„საირმე“	8	2	1	5	10-14	5
„სამეგრელო“	7	1	3	3	4-6	5
„ეგრისი“	8	1	3	4	8-12	5
„იმერეთი“	8	1	2	5	7-16	4

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 9 მაისი. ოქროყანის სპორტული ბაზა. „იმედი“ (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი). დასაწყისი 15 ს.

კალეიდოსკოპი

სარეკორდო სიმაღლე

ტაშკენტში, სადაც სტუდენტ მძლეოსანთა ასპარეზობა ტარდება, ყარაგანდელმა სერგეი ზოსიმოვიჩმა 236 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. ეს შედეგი 1 სანტიმეტრით აღემატება საკავშირო რეკორდს და ევროპის მიღწევას უტოლდება. უნდა აღინიშნოს, რომ ზოსიმოვიჩი შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდა.

ამ შეჯიბრებამდე ზოსიმოვიჩის პირადი რეკორდი 229 სმ იყო. ახლა სპორტსმენმა ერთბაშად 7 სანტიმეტრით გააუმჯობესა ეს შედეგი. ამას ხელი შეუწყო გარბენის ახალმა ვარიანტმა, რომელიც სავსებით შეესაბამება მხტომელის მზარდ ძალას.

ზოსიმოვიჩის სიმაღლეა 189 სმ, წონა — 71 კგ. მაშასადამე, დღევანდელი „საზომით“ თუ მივუდგებით, იგი ერთ-ერთი ყველაზე „პატარაა“ სიმაღლეზე მხტომელთა შორის.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა წარმატება

ტუნისის დედაქალაქში დამთავრდა ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდურ შეჯიბრებებში თასები დაისაკუთრეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა — იგორ ვერნიმ, ვლადიმერ ცვეტკოვმა, ელენა გურინამ და ოლგა ჩუდინამ.

ელენა გურინა უძლიერესი იყო პირად ჩათვლაში — 38,25. II ადგილი დაიკავა მისმა თანაგუნდელმა ოლგა ჩუდინამ — 37,95.

ვაჟთა შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდიდან საუკეთესო იყო ვერნი, რომელსაც მესამე ადგილი ხვდა — 56,65.

გარდა საბჭოთა და ტუნისელი ტანმოვარჯიშეებისა, ტურნირში მონაწილეობდნენ ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, გდრ-ის, იტალიის, პოლონეთისა და საფრანგეთის სპორტსმენები.

ტრადიცია დაირღვა

ათენიდან ვერტმფრენით, შემდეგ კი თვითმფრინავით ნიუ-იორკში — აი, ასეთი სახელდახელო მარშრუტით გაგზავნეს ევროპისაკენ XXIII ოლიმპიადის ჩირაღდანი. ეს თავისებური სიახლეა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.

აქამდე მზის სხივებით დანთებულ ცეცხლს გადასცემდნენ ხოლმე საგანგებო ოლიმპიური ესტაფეტის პირველ მონაწილეებს — ბერძენ სპორტსმენებს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ცეცხლი ასე მიჰქონდათ ათენის მარმარილოს სტადიონამდე. იქ ეწყობოდა საზეიმო ცერემონიალი, რომლის დროსაც ჩირაღდანს მორიგი თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებს გადასცემდნენ.

ამჯერად ყველაფერი ბევრად უფრო მოკრძალებულად გაკეთდა. ხელისუფლების, პირველ ყოვლისა კი ქვეყნის პრეზიდენტის გავლენით საბერძნეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ცეცხლის დანთება ჰერას ტაძრის ნანგრევებზე გადაწყვიტა. ამავე დროს ოლიმპიაში მოეწყო დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმაც მკაცრად გაილაშქრეს ოლიმპიური ჩირაღდნის ბიზნესის მიზნით გამოყენების წინააღმდეგ. ოლიმპიის მცხოვრებთა დამოკიდებულება წლევანდელი თამაშების ესტაფეტისადმი, რომელსაც ასპარეზობის ორგანიზატორები კილომეტრობით ყიდიან, ყველასთვის ცნობილია.

ოლიმპიური ჩირაღდანი სასწრაფოდ გადასცეს ლაოოკ-ის წარმომადგენლებს. მათაც აჩქარებით, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე მიაშურეს ვერტმფრენს, რათა ნიუ-იორკის თვითმფრინავისათვის მიესწროთ.

შესარჩევი ტურნირის სტარტი

ჰავანასა და სანტიაგო-დე-კუბაში დაიწყო შესარჩევი წინაოლიმპიური ტურნირი, რომელშიც 5 კონტინენტის 19 ქვეყნის კალათბურთელ ქალთა გუნდები მონაწილეობენ. ასპარეზობა თორმე დღეს გაგრძელდება. გათამაშება წლევანდელი ოლიმპიადის ოთხ საგზური. თამაშებში შესარჩევ შეჯიბრებათა გაუვლელად მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ორ კოლექტივს. ესენი არიან 1980 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი სს კავშირის ნაკრები და აშშ-ის გუნდი.

„ლელოს“ შემდეგი ნო მერი გამოვა შაბათს, 12 მაის

ნუგზარ ძაგნიძე საუკეთესო სნაიპერია

ევროპის იუნიორ რეგბისტთა ჩემპიონატი 1969 წლიდან ტარდება. მასში საბჭოთა სპორტსმენები 1977 წლიდან მონაწილეობენ. მაშინ მათ მეოთხე ადგილი მოიპოვეს, მომდევნო წელს კი ერთი ადგილით გადაინაცვლეს წინ. 1979 წელს მეათე ჩემპიონატზე მეორენი, 1980 წელს კი მეოთხენი იყვნენ. ამას მოჰყვა IV და V ადგილები.

წლეულს XVI ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფში საბჭოთა სპორტსმენებმა წარმატებით ჩაატარეს ყველა წინასწარი მატჩი. მათ დაამარცხეს ბელგიისა (18:6) და ჩეხოსლოვაკიის (13:3) გუნდები. სენსაციური იყო საბჭოთა რეგბისტების გამარჯვება ფინალურ მატჩში რუმინელებთან —12:10 (12:3); გადამწყვეტ მატჩში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 17 წლის ქუთაისელმა რეგბისტმა ნუგზარ ძაგნიძემ. მან 9 ქულა შესძინა საბჭოთა ნაკრებს. ნუგზარ ძაგნიძე მცველის, ეგრეთ წოდებული „ჩამკეტის“ მოვალეობას ასრულებს ნაკრებში. ქვეყნის იუნიორთა ნაკრებში ჩვენი რესპუბლიკის კიდევ სამი წარმომადგენელი გამოდიოდა. ესენი არიან თბილისელები დავით კომლაძე, თამაზ ხუადე და ქუთაისელი მამუკა ლოსაბერიძე. ისე როგორც შარშან, აგვისტოში, მოსკოვის „დრუჟბას“ საერთაშორისო ტურნირში (იქ ნ. ძაგნიძე საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს), ჩვენმა ბიჭებმა ყველა თამაშში მიიღეს მონაწილეობა. მხოლოდ ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა დავით კომლაძემ არ ითამაშა ყველა მატჩი: იგი დაშავდა ჩეხებთან შეხვედრაში და ველარ შეძლო ასპარეზობის გაგრძელება.

„ბ“ ჯგუფში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრები დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას, სადაც, მათ მერმის საპრიზო ადგილზე გასვლის კარგი შანსი აქვთ. 1985 წელს უკვე „ა“ ჯგუფის მატჩებში კვლავ ითამაშებენ ძაგნიძე და ლოსაბერიძე. თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდის წევრებმა კომლაძემ და ხუდემ კი დაამთავრეს გამოსვლა ამ ასაკში.

გაბრიელ ბარჯაძე.

რედაქტორი ა. გოგელია.

საქართველოს კულტურის მუშ
თა პროფკავშირის ქალაქ თბილის
ფიზკულტურისა და სპორტულ
ორგანიზაციების გაერთიანებულ
კომიტეტი ატარებს ჯანმრთელ
ბის ტრადიციულ VIII სპარტაკ
დას, რომელიც ეძღვნება ოქტ
ბრის რევოლუციის 67-ე წლ
თავს.

სპარტაკიადა გაიხსნება 12 მაის
12 საათზე სპორტის სასახლეშ

საორგანიზაციო კომიტე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
ИНДЕКС 66435
გაზეთი კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე 09723